თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-მწვანეები“ს

სხდომის

ოქმი N2

ქ. თელავი 22.11.2018

თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“ს თავმჯდომარე - **გიორგი ჩაბრაშვილი**

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: **გიგა მამუკელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი**

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: გიორგი ჩაბრაშვილი

**მოისმინეს:** 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: გიორგი ჩაბრაშვილი

გ. ჩაბრაშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო მერიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** გ. მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩა ტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია, სადაც არ არის სანაგვე ურნები და 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს თანხა მცირე ზომის სანაგვე ურნების შესაძენად და განსათავსებლად;

გ. ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ ქ. თელავში, ჭავჭავაძის, თამარის და გვირაბის ქუჩაზე მდებარე სკვერები არის დაზიანებული და საჭიროებს რეაბილიტაციასა და განათებას.

გ. წაწალაშვილმა აღნიშნა, რომ განისაზღვროს მინი-მოედნებისა და სკვერების ადგილმდებარეობები.

ფრაქციის წევრები შეთანხმდნენ, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი საჭიროებს ჩაშლას და მეტ კონკრეტიკას, როგორც ინფრასტრუქტურული ასევე თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ რომელ შპს -სა და ააიპ-ების ბიუჯეტებთან მიმართებაში.

გადაწყვიტეს: 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი გადაეგზავნოს მერიას, რათა ბიუჯეტის დამტკიცებამდე გაითვალისწინონ ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები.

ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-მწვანეები"ს სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

2018 წლის 23 ნოემბერს ჩატარდა ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები" სხდომა, სადაც განიხილა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები" მიიჩნევენ, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი უნდა იყოს უფრო მეტად ჩაშლილი და ადვილად წასაკითხი და აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

1. თელავში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სანაგვე ურნების განთავსება;
2. თელავში ჭავჭავაძის, თამარის და გვირაბის ქუჩაზე მდებარე სკვერების რეაბილიტაცია და განათება;
3. განისაზღვროს ბიუჯეტში დაგეგმილი მინი-მოედნებისა და სკვერების ადგილმდებარეობები.
4. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი საჭიროებს ჩაშლას და მეტ კონკრეტიკას.

ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი